ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 07. 09. 2020 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება №262-ს

ქ. თბილისი

რექტორის 2020 წლის 27 ივლისის N228-ს ბრძანებაში ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2020 - 2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადების, ვაკანსიისა და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება რექტორის 2020 წლის 27 ივლისის N228-ს ბრძანებაში ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2020 - 2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადების, ვაკანსიისა და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ" და ბრძანების მე-4 პუნქტის დანართი N1 - დოქტორანტურაში მიღების ადმინისტრირების ვადების განისაზღვრის თაობაზე ჩამოყალიბდეა ახალი, თანდართული რედაქციით.

3. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და

სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების დეკანატებს; ენების ცენტრს.

4. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

5. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

დოქტორანტურაში მიღების პროცესის ადმინისტრირების ვადები:

1. აპლიკანტთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) - 2020 წლის 25 აგვისტო - 8 სექტემბერი;
2. გამოცდა უცხო ენაში და შედეგების გამოცხადება - 2020 წლის 9 სექტემბერი;
3. გამოცდა სპეციალობაში და შედეგების გამოცხადება - 2020 წლის 10 სექტემბერი;
4. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია, ხელშეკრულების გაფორმება - 2020 წლის 10 – 12 სექტემბერი;
5. ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და გამოცემა- 2020 წლის 14 სექტემბერი.